პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2023 წლის --- დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში , მოქალაქე არჩილ მენთეშაშვილის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობის განხოციელებისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების თაობაზე , წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების - თანხმობის შეთანხმების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 დეკემბრის №48-482334222 წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მან განიხილა მოქალაქე არჩილ მენთეშაშვილის მინდობილი პირის გიორგი ჭელიძის განცხადება (თანდართული მასალებით) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება არჩილ მენთეშაშვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება - თანხმობა მოქალაქე არჩილ მენთეშაშვილისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკაშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების თაობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482334222**
თარიღი: **08/12/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, მოქალაქე არჩილ მენთეშაშვილის მინდობილი პირის გიორგი ჭელიძის 2023 წლის 2 ნოემბრის N482330685-03 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში, საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში, მოქალაქე არჩილ მენთეშაშვილის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.13.38.588) მოხდეს სასტუმრო დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება.

დანართი- პროექტი და საგენტოს პასუხი

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge